ბრძანება № N 01-74

ქ, თბილისი 19.06.2023

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სარგებლობაში არსებული (ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის გამზირი N68) უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის N05/49 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მეორე პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 24.05.2023; N 00017614 წერილისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 31.05.2023; N5/29360 წერილის შესაბამისად, გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქალაქ თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირზე N68-ში მდებარე ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელწიფო ცენტრის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 01.16.05.013.023) -1 სართულზე (სარდაფში) მდებარე 165,78 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გადაცემაზე 5 წლის ვადით.

2. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის საფასური განისაზღვროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ N 5003040823 (15.05..2022) ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის შესაბამისად. კერძოდ:

    1) იჯარით გადასაცემი 165.78 კვმ. ფართის საწყის ღირებულებად განისაზღვროს 3882 (სამი ათას რვაას ოთხმოცდაორი) ლარი

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემის პროცესი განხორციელდეს "სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის N1-1/363 ბრძანების შესაბამისად.

4. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადად განისაზღვროს 7 კალენდარული დღე.

5. ელექტრონული აუქციონით გათვალისწინებულ ბიჯის თანხად განისაზღვროს 100 (ასი) ლარი.

6. ელექტრონულ აუქციონის შედეგად გამოვლენილმა გამარჯვებულმა პირმა, საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ბეს სახით გადაიხადოს საიჯარო ხელშეკრულების პირველი და ბოლო ორი თვის საიჯარო თანხა.

7. ბრძანებას თან დაერთოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული, იჯარით გადასაცემი უძრავი ქონების შიდა აზომვითი ნახაზები, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ N 5003040823 (15.05..2023) ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზა, საქართველოს კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს №00017614 და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს N5/29360 წერილები.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი დონაძე

აღმასრულებელი დირექტორი

ს.ს.ი.პ. ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი